კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

შპს ენერჯი ინვესტ ჯგუფი

2020 წლის 31 დეკემბერი

სარჩევი

1. ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება 3
2. მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება 5
კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება 6
3. სააღრიცხვო პოლიტიკა 7
4. ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები 18

1. ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

	შენიშვნა	31.12.2020	31.12.2019	31.12.2018
აქტივები				
ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები	1	23,816	3,914,464	96,613
სავაჭრო მოთხოვნები		638,434	332,160	2,374,597
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	2	3,199,559	1,131,405	1,480,402
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი		24,054	114,657	21,867
სხვა მიმდინარე აქტივები	3	-	282,000	-
სულ მიმდინარე აქტივები		**3,885,863**	**5,774,686**	**3,973,479**
ძირითადი საშუალებები	4	3,546,350	2,779,674	2,298,176
არამატერიალური აქტივები		3,750	88,757	3,750
სულ გრძელვადიანი აქტივები		**3,550,100**	**2,868,431**	**2,301,926**
სულ აქტივები		**7,435,963**	**8,643,117**	**6,275,405**
ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულებები		1,436,690	632,061	1,406,152
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ		10,809	12,550	12,205
საგადასახადო ვალდებულებები		107,212	1,338,294	89,433
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	5	3,852,980	3,411,454	1,800,479

სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		50,143	360,465	11,223
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		**5,457,834**	**5,754,824**	**3,319,492**
სულ ვალდებულებები		**5,457,834**	**5,754,824**	**3,319,492**
საკუთარი კაპიტალი				
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი		1,977,587	2,887,610	2,955,056
სულ მშობელი საწარმოს მფლობელთათვის განკუთვნილი საკუთარი კაპიტალი		**1,977,587**	**2,887,610**	**2,955,056**
არამაკონტროლებელი წილი (კონტროლის არმქონე ინვესტორთა ჯამური წილი)		542	683	857
სულ საკუთარი კაპიტალი		**1,978,129**	**2,888,293**	**2,955,913**
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		**7,435,963**	**8,643,117**	**6,275,405**

2. მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება
კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება

		2020	2019
ამონაგები		14,668,952	15,855,339
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		11,665,322	11,474,605
მარაგების თვითღირებულება		8,997,663	9,154,565
დასაქმებულთა ანაზღაურება.		2,659,637	2,304,677
სხვა თვითღირებულების ხარჯი		8,022	15,362
საერთო მოგება		3,003,630	4,380,734
სარეკლამო ხარჯი		3,716	2,353
ტრანსპორტირების ხარჯი		7,449	2,771
დასაქმებულთა ანაზღაურება	6	405,826	248,469
იჯარის ხარჯი		33,415	29,640
კომუნალური გადასახადები ხარჯი		2,969	825
კომუნიკაციის ხარჯი		10,198	8,333
საოფისე ხარჯი		5,276	4,986
ცვეთა და ამორტიზაცია	4	462,377	391,735
საპროცენტო შემოსავალი:	5	9,273	9,699
საპროცენტო ხარჯი :		466,564	281,295
წმინდა საპროცენტო ხარჯი		457,292	271,596
საგადასახადო ხარჯი		66,188	32,259
საბანკო მომსახურების ხარჯი		15,212	11,748
სხვა ადმინისტრაციული ხარჯი		211,601	68,608
სულ საოპერაციო ხარჯები		1,681,520	1,073,325

საოპერაციო მოგება	1,322,110	3,307,409
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან:	50,232	(2,329)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	20,245	(256,946)
ძირითადი საშუალებების რეალიზაციით მიღებული შემოსავალი	664,800	60,466
რეალიზებული ძირ. საშუალებების თვითღირებულება	530,952	39,068
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	1,526,435	3,069,532
მოგების გადასახადი	381,992	480,643
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/(ზარალი)	1,144,443	2,588,889
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)	1,144,443	2,588,889
მოგება/(ზარალი) განკუთვნილი		
მშობელი საწარმოს მესაკუთრეებზე მისაკუთვნებელი მთლიანი შემოსავალი	1,144,583	2,589,063
არამაკონტროლებელ წილებზე მისაკუთვნებელი მთლიანი შემოსავალი	(140)	(174)
მოგება/(ზარალი)	1,144,443	2,588,889
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი) განკუთვნილი		
მშობელი საწარმოს მესაკუთრეებზე მისაკუთვნებელი მთლიანი შემოსავალი	1,144,583	2,589,063
არამაკონტროლებელ წილებზე მისაკუთვნებელი მთლიანი შემოსავალი	(140)	(174)
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	1,144,443	2,588,889
კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)	2,888,293	2,955,913
მიმდინარე პერიოდის წმინდა მოგება	1,144,443	2,588,889
დივიდენდის განაწილება	2,054,606	2,656,509
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	1,978,129	2,888,293

3. სააღრიცხვო პოლიტიკა

1. ზოგადი ინფორმაცია

წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია შპს ენერჯი ინვესტი 2009-ის (დედა კომპანია) და მისი შვილობილი კომპანიის შპს INTER GAS BATUMI-ის (შემდგომში ერთობლივად „ჯგუფი" ან „ენერჯი ინვესტი ჯგუფი") 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

დედა კომპანია შპს ენერჯი ინვესტი 2009 წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიას, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში 2009 წლის ოცდაშვიდ ოქტომბერს, საიდენთიფიკაციო ნომრით - 245629431. კომპანიის იურიდიული მისამართი და საქმიანობის ძირითადი ადგილი არის ბათუმი, ჰ. აბაშიძის ქ. N26. კომპანიის ძირითადი საქმიანობაა ბუნებრივი აირის მილების გაყვანა.

დედა კომპანიას ჰყავს ერთი შვილობილი - შპს INTER GAS BATUMI, რომელშიც ფლობს წილის 66%-ს.

ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი - გოჩა გოგიტიძე (სN 61006001622), საქართველო. ჯგუფის დამფუძნებელი პარტნიორები 2018წლის 8 თებერვლამდე იყვნენ: გოჩა გოგიტიძე (პ.ნ 61006001622), საქართველო - 50% და მამუკა გოგიტიძე (პ.ნ. 61006004322), საქართველო - 50%. ჯგუფის დამფუძნებელი პარტნიორები 2018წლის 8 თებერვლიდან არიან: გოჩა გოგიტიძე (სN 61006001622), საქართველო - 5% და მერაბ ქოქოლაძე (სN 61006006013), საქართველო - 95%.

2020, 2019, 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფს არ ჰყავს საბოლოო მაკონტროლებელი მხარე.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

ჯგუფის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი, რომელიც არის ჯგუფის ფუნქციონალური ვალუტა, რადგან იგი საუკეთესოდ ასახავს ჯგუფის ოპერაციებისა და სამოქმედო გარემოში მიმდინარე ეკონომიკური მოვლენების შინაარსს.

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარებში და დამრგვალებულია უახლოეს ერთეულამდე.

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

ფინანსური ანგარიშგების მომზადების მიზნებისთვის, საანგარიშგებო ვალუტისაგან (ლარი) განსხვავებულ უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები გადაიყვანება ტრანზაქციის განხორციელების დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი მუხლები გადაანგარიშებულია ამავე თარიღისთვის არსებული ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით, რომელიც 2020 წლის 31 დეკემბერს 1 აშშ დოლარისთვის შეადგენდა 3.276 ლარს, 1 ევროსათვის შეადგენდა 4,0233 ლარს, 2019 წლის 31 დეკემბერს 1 აშშ დოლარისთვის - 2,8677 ლარს, 1 ევროსათვის – 3,2095 ლარს, 2018 წლის 31 დეკემბერს 1 ამერიკული დოლარისთვის – 2,6766 ლარს, 1 ევროსათვის - 3,0701 ლარს. არაფულადი მუხლების გადაანგარიშგება წლის ბოლო კურსით არ ხდება და ისინი ბალანსში წარდგენილია ისტორიული ღირებულებით (ლარში გადაყვანილია ოპერაციები განხორციელების დღის კურსით).

საკურსო სხვაობით გამოწვეული სხვაობები ასახულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

კონსოლიდაციის საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს დედა კომპანიის და მის კონტროლს დაქვემდებარებული შვილობილი კომპანიების ფინანსურ ინფორმაციას. კონტროლი მიიღწევა მაშინ, როდესაც კომპანიას:

- • აქვს გავლენა ინვესტიციის ობიექტზე;
- • იღებს ან უფლება აქვს მიიღოს ინვესტიციის ობიექტში თავისი მონაწილეობიდან ცვლადი უკუგება;

- • შეუძლია თავისი გავლენის გამოყენება უკუგებაზე ზემოქმედებისთვის.

კომპანია ხელახლა აფასებს, აკონტროლებს თუ არა ინვესტიციის ობიექტს, თუ ფაქტები და გარემოებები იმაზე მიანიშნებს, რომ კონტროლის ზემოაღნიშნული სამი ელემენტიდან ერთ-ერთში ცვლილებებია მომხდარი.

შვილობილი საწარმოს კონსოლიდაცია იწყება მაშინ, როდესაც კომპანია მოიპოვებს კონტროლს შვილობილ საწარმოზე და წყდება მაშინ, როდესაც კომპანია კარგავს კონტროლს შვილობილ საწარმოზე. კერძოდ, წლის განმავლობაში შეძენილი ან გასხვისებული შვილობილი კომპანიის შემოსავალი და ხარჯები აღირიცხება სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში იმ თარიღიდან, როდესაც კომპანია იძენს კონტროლს, იმ თარიღამდე, როდესაც კომპანიის კონტროლი შვილობილ კომპანიაზე წყდება.

საჭიროების შეთხვევაში, ხდება შვილობილი კომპანიების ფინანსური ანგარიშგების დაკორექტირება, რათა მათი სააღრიცხვო პოლიტიკა შესაბამისობაში მოვიდეს ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკასთან.

ჯგუფის წევრებს შორის შემდგარ გარიგებებთან დაკავშირებული ყველა შიდაჯგუფური ვალდებულება, კაპიტალი, შემოსავალი, ხარჯი და ფულადი ნაკადი კონსოლიდაციისას მთლიანად გაიქვითება.

კონსოლიდაციის მიზნებისთვის ელიმინირებული ტრანზაქციები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ელიმინირებულია შიდა ჯგუფური ტრანზაქციები და ამ ტრანზაქციების შედეგად წარმოქმნილი არარეალიზებული მოგება ან ზარალი.

ინვესტიციები მეკავშირე საწარმოში

მეკავშირე საწარმო არის საწარმო, რომელზეც ჯგუფს გააჩნია მნიშვნელოვანი გავლენა და ამავე დროს იგი არ არის არც შვილობილი საწარმო და არც წილი ერთობლივ საქმიანობაში. მნიშვნელოვანი გავლენა ნიშნავს ჯგუფის მიერ ინვესტირებული საწარმოს ფინანსური და საწარმოო პოლიტიკის გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობის უფლებას, რაც არ გულისხმობს ჯგუფის მიერ ამ პოლიტიკაზე კონტროლის ან ერთობლივი კონტროლის უფლებას.

მეკავშირე საწარმოებში განხორციელებული ინვესტიციების შესაფასებლად ჯგუფი იყენებს თვითღირებულების მოდელს დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ფული და ფულის ექვივალენტები

ჯგუფის ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ფულს ხელზე და ფულს საბანკო ანგარიშებზე.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება.

მიდინარე სავაჭრო მოთხოვნები თავდაპირველად აღიარებულია რეალური ღირებულებით. შემდგომში ისინი ასახულია გაუფასურების რეზერვით შემცირებული ამორტიზირებული ღირებულებით, სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი წარმოიშვება, როდესაც არსებობს ობიექტური მოსაზრება, რომ კომპანია ვერ მოახერხებს მოთხოვნების მიღებას საწყისი პირობების მიხედვით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

მარაგი ისეთი აქტივებია, რომლებიც გათვალისწინებულია გასაყიდად ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში ან წარმოდგენილია ნედლეულისა და მასალების სახით, რომლებიც განკუთვნილია საწარმოო მოხმარებისთვის ან მომსახურების გასაწევად.

სასაქონლო-მატერიალური მარაგების აღიარება ხდება მის ღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივი სამეურნეო პროცესისათვის შეფასებითი გასაყიდი

ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით. სასაქონლო მატერიალური მარაგების ღირებულება გამოითვლება ფიფო მეთოდით და შეიცავს დანახარჯებს, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან, ადგილზე მიტანასთან, გადამუშავებასთან და მის იმ მდგომარეობამდე მიყვანასთან, როგორშიც ის იმყოფება.

იჯარა

ბასს 17-ის მიხედვით, იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად თუ იგი ითვალისწინებს ფაქტობრივად აქტივის ფლობასთან დაკავშირებული ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას. იჯარის ვადის დასაწყისში მოიჯარემ ფინანსური იჯარა უნდა აღიაროს როგორც აქტივები, საიჯარო აქტივის რეალური ღირებულების ტოლი თანხით ან, თუ მასზე ნაკლებია, საიჯარო გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით გაუთვალისწინებელი (თავდაპირველი) ხარჯების დამატებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში, შესაბამისი თანხა აღიარებული უნდა იქნეს ფინანსური იჯარის ვალდებულებად, იმის მიუხედავად, რომ ზოგიერთი საიჯარო გადასახდელები გადასახდელია იჯარის გაცემის დღიდან.

ფინანსური იჯარით აღებული ძირითადი საშუალებების შემდგომი აღრიცხვა, ცვეთის მეთოდი და სასარგებლო მომსახურების ვადა შეესაბამება კომპანიის მიერ იურიდიულად ფლობის შესადარის აქტივებს. შესაბამისი ფინანსური ვალდებულება მცირდება საიჯარო გადასახდელებს გამოკლებული საპროცენტო დანახარჯით, რომელიც აღირიცხება ფინანსურ ხარჯად. საიჯარო გადასახდელების საპროცენტო ელემენტი ხარჯად აღიარდება მოგება-ზარალში იმ პერიოდში, როდესაც იქნება გაწეული.

ყველა სხვა იჯარა აღიარებულია, როგორც საოპერაციო იჯარა. გადახდები, საოპერაციო იჯარის ხელშეკრულების შესაბამისად, აღიარებულია ხარჯებში. მასთან დაკავშირებული ხარჯები, როგორიცაა შენახვის და სადაზღვევო ხარჯები, აღიარდება როგორც გაწეული ხარჯი.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მცირდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის თანხებით, თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით,

გამოუქვითავი გადასახადებითა და სხვა პირდაპირი ხარჯებით. როცა ძირითადი საშუალებები შეიცავს სხვადასხვა კომპონენტებს, რომლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა სარგებლობის ვადები, ისინი აღირიცხებიან ცალ-ცალკე, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული კომპონენტები.

მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიშვება აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან, განისაზღვრება სხვაობით მიღებულ სარგებელსა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ხარჯები, რომლებიც დაკავშირებულია ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლებასთან, აღრიცხულია დამოუკიდებლად, კაპიტალიზდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწერილ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სახვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება-განახლების, აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე.

ცვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენი ღირებულებით შემცირებული აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით. ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც შესაძლებელია აქტივის გამოყენება. ძირითად საშუალებების ჯგუფებისთვის განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოდგენილია შემდეგ ცხრილში:

შენობა- ნაგებობების ცვეთა - 10 წელი

მანქანა-დანადგარები და მოწყობილობები 5-10 წელი

ოფისის აღჭურვილობა, ავეჯი და ინვენტარი - 5-8 წელი

სატრანსპორტო საშუალებები - 5-10წელი

იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა - იჯარის ვადისა და აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადას შორის უმცირესი

არამატერიალური აქტივები

ჯგუფის მიერ შეძენილი არამატერიალური აქტივები, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, წარმოდგენილია თვითღირებულებით, რომელსაც გამოკლებული აქვს დაგროვილი ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალი.

შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივებისთვის ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ნარჩენი ღირებულებით შემცირებული აქტივების თვითღირებულების განაწილების გზით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით. სავარაუდო მომსახურების ვადა შეადგენს 5-10 წელს პროგრამული უზრუნველყოფისთვის, უფლებებისთვის და სხვა.

საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება არის ქონება, რომელიც გამოიყენება საიჯარო შემოსავლების მისაღებად ან კაპიტალის გრძელვადიანი ზრდისთვის ან ორივე მიზნით, გარდა ისეთი მიზნებისათვის როგორიცაა: გაყიდვა ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში ან საქონლის საწარმოებლად ან ადმინისტრაციული მიზნებისათვის. ჯგუფი საინვესტიციო ქონების თავდაპირველ აღიარებას და შემდგომ შეფასებას ახდენს თვითღირებულებით.

საინვესტიციო ქონებაზე ცვეთის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში და ექვემდებარება სასარგებლო მომსახურების ვადის ბოლოს აქტივის ჩამოწერას.

ცვეთა საინვესტიციო ქონებას ერიცხება წრფივად. სასარგებლო მომსახურების პერიოდი და ცვეთის მეთოდი მიმოიხილება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ღირებულების ცვლილების ეფექტის გათვალისწინებით, პერსპექტიულ საფუძველზე.

საინვესტიციო ქონებიდან მიღებული შემოსავალი აღიარებულია მოგება-ზარალში. იმ შემთხვევაში, თუ საინვესტიციო ქონება ხდება მესაკუთრის მიერ დაკავებული ქონება, ხდება მისი რეკლასიფიკაცია ძირითად საშუალებებში და რეკლასიფიკაციის თარიღისთვის არსებული საბალანსო ღირებულება ხდება მისი დასაშვები ღირებულება სააღრიცხვო მიზნებისთვის.

შემდგომი დანახარჯები კაპიტალიზდება აქტივის საბალანსო ღირებულებაზე, თუ მომავალში მოსალოდნელია დანახარჯებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოდინება და დანახარჯების საიმედოდ შეფასება შესაძლებელია. სხვა დანახარჯები აღიარდება პერიოდის ხარჯებად, მათი გაწევის მომენტში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება.

სესხები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში. სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როდესაც გაწეულ იქნა.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი არის მიმდინარე პერიოდში გადასახდელი გადასახადისა და გადავადებული გადასახადების ხარჯი.

მიმდინარე პერიოდში გადასახდელი გადასახადები ეფუძნება მიმდინარე წლის დასაბეგრ მოგებას.

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები მოგების გადასახადთან დაკავშირებით.

2017 წლის მოგების გადასახადით დაბეგვრის ესტონური მოდელის მიხედვით, იმ შემთხვევაში, თუ არ მოხდება მოგების განაწილება და დარჩება კომპანიაში გაუნაწილებელი მოგების სახით, მაშინ მოგების გადასახადით დასაბეგრი ბაზა არ წარმოიშვება, ხოლო 15%-ით დაიბეგრება დივიდენდად განაწილებული მოგება. ასევე, მოგების გადასახადით იბეგრება ისეთი ტრანზაქციები ინდივიდუალურ პირებთან, რომელიც დაკავშირებულია მოგების მიღებასთან (ბენეფიტი, საჩუქარი, გადახდები, რომლებიც არაა ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული და სხვა).

აღნიშნული ცვლილებების გამო, არ წარმოიქმნება დროებითი სხვაობები კომპანიის აქტივებსა და ვალდებულებებში, ანგარიშგებაში. შესაბამისად გადავადებული საგადასახადო აქტივი და ვალდებულება, როგორც განსაზღვრულია ბასს 12 მოგებიდან გადასახადებით არ წარმოიქმნება 2017 წლის 1 იანვრიდან.

ამონაგების აღიარება

ამონაგები აღიარდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, მასში გათვალისწინებულია სავაჭრო ფასდათმობები და კომპანიის სხვა შეღავათები.

ამონაგები შემცირებულია გაყიდული საქონლის უკან დაბრუნებით, ფასდათობებით და სხვა მსგავსი შეღავათებით.

ამონაგები შეიძლება აღიარდეს, როდესაც ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პირობა არის შესრულებული:

- კომპანიამ გადასცა მყიდველს მფლობელობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი;
- კომპანიას აღარ აქვს რეალიზებულ საქონელზე/მომსახურებაზე არანაირი მმართველობითი უფლება ან კონტროლი;
- შემოსავალი საიმედოდ შეიძლება შეფასდეს.

კაპიტალი და დივიდენდები

კაპიტალი შედგება საწესდებო კაპიტალისა და გაუნაწილებელი მოგებისგან. დივიდენდები აღირიცხება კაპიტალში იმ პერიოდში, როდესაც გამოცხადდა. ნებისმიერი დივიდენდი, რომელიც ცხადდება საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ და ფინანსური ანგარიშგების გამოსაქვეყნებლად ნების დართვის თარიღამდე, იშიფრება საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენების შენიშვნაში.

ანარიცხები, პირობითი აქტივები და ვალდებულებები

ანარიცხი არის ვალდებულება, რომლის დაფარვის ვადა ან ოდენობა განუსაზღვრელია. ვალდებულება არის წარსულში მომხდარი მოვლენის შედეგად წარმოშობილი მიმდინარე მოვალეობა, რომლის დასაფარავად საჭიროა ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების საწარმოდან გასვლა. ვალდებულების წამომქმნელი მოვლენა არის ისეთი მოვლენა, რომელიც ქმნის იურიდიულ ან კონსტრუქციულ ვალდებულებას, რომლის მიხედვითაც ჯგუფმა უპირობოდ უნდა დაფაროს ვალდებულება. იურიდიული ვალდებულება არის ვალდებულება, რომელიც წარმოიქმნება შემდეგი ფაქტორებიდან:

- ხელშეკრულება (ყველა პირობის გათვალისწინებით, მათ შორის, ზეპირი);

- კანონმდებლობა; ან

- სხვა კანონიერი ქმედება.

კონსტრუქციული ვალდებულება წარმოიქნება ჯგუფის ქმედებებიდან, რაც გულისხმობს შემდეგს:

წარსული პრაქტიკიდან მიღებული გამოცდილების შედეგად, გამოქვეყნებული პოლიტიკით ან საკმაოდ სპეციფიკური მიმდინარე განაცხადით, ჯგუფი სხვა მხარეებს მიუთითებს, რომ ის

- აიღებს გარკვეულ პასუხისმგებლობებს; და

- შედეგად, ჯგუფი აღნიშნულ სხვა მხარეებს უქმნის სამართლიან მოლოდინს, რომ იგი შეასრულებს აღებულ ვადებულებებს.

ტერმინი "პირობითი ვადლდებულება" გამოიყენება ვალდებულებებისათვის, რომლებიც ვერ აკმაყოფილებენ აღიარების კრიტერიუმებს.

სააღრიცხვო პოლიტიკა გამოყოფს შემდეგ კატეგორიებს:

• • ანარიცხები - რომლებიც აღიარდება, როგორც ვალდებულება (იმ პირობით, რომ შესაძლებელია ვალდებულების თანხის საიმედოდ შეფასება), რადგან ისინი წარმოადგენენ მიმდინარე მოვალეობას და მოსალოდნელია, რომ მათ დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების ჯგუფიდან გასვლა; და

• • პირობითი ვალდებულებები - რომლებიც არ აღიარდება, როგორც ვალდებულება, რადგან წარმოადგენს, ან:

• - შესაძლო მოვალეობებს, რადგან ჯერ კიდევ არაა დადასტურებული, გააჩნია თუ არა ჯგუფის მიმდინარე მოვალეობა, რომლის შესრულება გამოიწვევს ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების ჯგუფიდან გასვლას; ან

• - მიმდინარე მოვალეობებს, რომლებიც ვერ აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს (რადგან მოსალოდნელი არ არის, რომ ვალდებულების დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების ჯგუფიდან გასვლა, ან შეუძლებელა ვალდებულების თანხის საიმედოდ შეფასება).

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა ჯგუფიდან და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა ჯგუფიდან არ არის მოსალოდნელი.

პირობითი ვალდებულებები შეიძლება განვითარდეს თავდაპირველად მოსალოდნელისგან განსხვავებული სახით. ამიტომ ისინი ფასდება მუდმივად, რათა განისაზღვროს, ხომ არაა აუცილებელი ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების ჯგუფიდან გასვლა. იმ შემთხვევაში, თუ იმ ვალდებულების დასაფარად, რომელიც განიხილებოდა პირობით ვალდებულებად, საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების ჯგუფიდან გასვლა, ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება ანარიცხი იმ პერიოდში, როდესაც ასეთ ცვლილებას ექნება ადგილი (გარდა განსაკუთრებულად იშვიათი შემთხვევებისა, როდესაც ვალდებულების თანხის საიმედოდ შეფასება შეუძლებელია).

პირობითი აქტივები არ აისახება ფინანსური ანგარიშგებაში, თუმცა მათ შესახებ ინფორმაცია მოცემულია ახსნა-განმარტებით შენიშვნებში, როდესაც შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის შემოდინება. თუ ეკონომიკური სარგებელი აუცილებლად მიიღება, აქტივი და შესაბამისი შემოსავალიც აღიარდება შესაბამისი პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში მაშინ, როდესაც შეფასების ცვლილება მოხდა.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ასევე მოვლენები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე, რომელიც გვაწვდის დამატებით ინფორმაციას ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ შეტანილია ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი არსებითი მოვლენები, რომლებიც არ ახდენენ გავლენას ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის დღისათვის, ასევე წარმოდგენილია ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში.

4. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

შენიშვნა 1

ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

	2020	2019	2018
ნაღდი ფული სალაროში ეროვნულ ვალუტაში		-	-
ფული საბანკო ანგარიშებზე ეროვნულ ვალუტაში	20,790	3,914,464	96,610
ფული საბანკო ანგარიშებზე უცხოურ ვალუტაში (აშშ დოლარი)	3,026	0	3
სულ	23,816	3,914,464	96,613

შენიშვნა 2

მარაგები

	2020	2019	2018
საქონელი	29,236	31,678	18,776
ნედლეული და მასალები	528,831	275,674	131,134
დაუმთავრებელი წარმოება	2,641,493	824,053	1,330,492
სულ	3,199,559	1,131,405	1,480,402

შენიშვნა 3

სხვა მიმდინარე აქტივები

	2020	2019	2018
გაცემული სესხი	-	282,000	-
	-	282,000	-

შენიშვნა 4
ძირითადი საშუალებები

ლარში	შენობა ნაგებობები	მანქანა დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა :	ჯამი
2018 წლის ბოლოს მდგომარეობით	**14,982.00**	**4,090,609.00**	**61,869.00**	**4,167,460.00**
შესყიდვა		823,953.00	3,341.00	827,294.00
გასვლა		38,771.00		38,771.00
2019 წლის ბოლოს მდგომარეოით	**14,982.00**	**4,875,791.00**	**65,210.00**	**4,955,983.00**
შესყიდვა	23,508.00	1,712,765.00	26,596.00	1,762,869.00
გასვლა		1,092,121.00		1,092,121.00
გაუფასურება				-
გადაფასების რეზერვი				-
2020 წლის ბოლოს მდგომარეოით	**38,490.00** -	**5,496,435.00** -	**91,806.00**	**5,626,731.00**
დაგროვილი ცვეთა				
2018 წლის ბოლოს მდგომარეობით	**6,721.00**	**1,835,123.00**	**27,439.00**	**1,869,283.00**
ცვეთის ხარჯი	2,178.00	382,932.00	6,625.00	391,735.00
გასული აქტივის დაგროვილი ცვეთა		84,710.00		84,710.00
2019 წლის ბოლოს მდგომარეობით	**8,899.00**	**2,133,345.00**	**34,064.00**	**2,176,308.00**
ცვეთის ხარჯი	3,777.00	450,477.00	8,123.00	462,377.00
გასული აქტივის დაგროვილი ცვეთა		558,304.00		558,304.00
2020 წლის ბოლოს მდგომარეობით	**12,676.00**	**2,025,518.00**	**42,187.00**	**2,080,381.00**
საბალანსო ღირებულება				
2018 წლის ბოლოს	**8,261.00**	**2,255,486.00**	**34,430.00**	**2,298,177.00**
2019 წლის ბოლოს	**6,083.00**	**2,742,446.00**	**31,146.00**	**2,779,674.00**
2020 წლის ბოლოს	**25,814.00**	**3,470,917.00**	**49,619.00**	**3,546,350.00**

შენიშვნა 5
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები

მიმდინარე სასესხო დავალიანებების 95% შეადგენს სს თიბისი ბანკისგან აღებულ მოკლევადიან ბიზნეს სესხებს, რომლებიც პროექტების მიხედვით იფარება. მასზე გადახდილი საპროცენტო ხარჯები აღიარებულია მოგება-ზარალში პერიოდის ხარჯად.

შენიშვნა 6
დასაქმებულთა გასამრჯელოები

დირექტორებსა და უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობაზე გაცემული ანაზღაურება

	2020	2019
შრომის ანაზღაურება მთლიანად	154,613	108,908
სულ	154,613	108,908

შენიშვნა 7
დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან წარმოადგენს:

(ა) მხარეებს, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ერთი ან რამდენიმე შუამავლით აკონტროლებენ, კონტროლდებიან ან არიან ერთობლივი კონტროლის ქვეშ ჯგუფთან (მათ შორის, დამფუძნებელ კომპანიასა და ფილიალებთან), ფლობენ წილს ჯგუფში, რაც მნიშვნელოვანი გავლენის მიზეზია და ფლობენ საერთო კონტროლს ჯგუფზე;

(ბ) კომპანიის ან მისი მშობელი საწარმოს ძირითად მმართველ პერსონალს;

(გ) (ა) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილთა ოჯახის წევრებს;

(დ)მხარეებს, რომლებიც წარმოადგენენ (გ) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილი პირების მიერ კოტროლირებად ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოებს, ან ამ პირებს მნიშნველოვანი გავლენა აქვთ მათზე, ან ასეთ საწარმოში ხმის მიცემის უფლება პირდაპირ ან არაპირდაპირ ამ პირების ხელშია.

დაკავშირებულ მხარეებთან ყოველი შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ამ ურთიერთობის არსს და არა უბრალოდ იურიდიულ ფორმას. ჯგუფსა და მის დაკავშირებულ მხარეებს შორის ოპერაციების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ.

2018-2020 წლის განმავლობაში ენერჯი ინვესტ ჯგუფს ურთიერთობა ქონდა ურთიერთდაკავშირებულ პირთან ი.მ მერაბ ქოქოლაძესთან (შპს ენერჯი ინვესტი 95% წილის მფლობელი - მერაბ ქოქოლაძე)

დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელდა შემდეგი ოპერაციები:
საქონლისა და მომსახურების შეძენა:

	2020	2019
მომსახურების შეძენა		
ი.მ მერაბ ქოქოლაძე	9,600	9,600
სულ	9,600	9,600

მომსახურების შეძენა მოხდა საბაზრო პირობებით.

დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ოპერაციების დაუფარავი ნაშთები:

	2020	2019
მოთხოვნა დაკავშირებული მხარეებისადმი		
ი.მ მერაბ ქოქოლაძე	0	7,987

ვალდებულებები დაკავშირებული მხარეებისადმი

ი.მ მერაბ ქოქოლაძე

0	3200

მოთხოვნა არ არის უზრუნველყოფილი და არ ერიცხება საპროცენტო სარგებელი. მოთხოვნასთან დაკავშირებით უიმედო ან საეჭვო ვალების ხარჯები არ აღიარებულა.

დაკავშირებული მხარეებისადმი ვალდებულება გადასახდელია. ვალდებულებას არ ერიცხება საპროცენტო ხარჯები.

შენიშვნა 8

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი არამაკორექტირებელი მოვლენები

2019 წლის ბოლოს ჩინეთში გავრცელდა ახალი კორონა ვირუსი (COVID-19). მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციისათვის ცნობილი იყო გარკვეული შემთხვევების შესახებ 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მათ კორონავირუსი, როგორც გლობალური საფრთხე შეაფასეს მხოლოდ 2020 წლის 31 იანვარს, რადგან ვირუსის მნიშვნელოვანი განვითარება-გავრცელება არ მომხდარა 2020 წლის იანვრამდე.

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ კორონა ვირუსის დაავადების სწრაფად გავრცელების გამო პანდემია გამოაცხადა. ზოგადად ვირუსმა შესაძლოა ბევრ ინდუსტრიაზე მოახდინოს უარყოფითი ზეგავლენა შემდგომი მიზეზების გამო:

- საქონელსა და მომსახურებაზე მომხმარებლის მოთხოვნის შემცირება, დაკარგული შემოსავალი, მომხმარებელთა თავისუფლად გადაადგილების შეზღუდვის გამო
- კაპიტალური ინვესტიციების ნაკლებობა, მშენებლობების შემცირება, მომხმარებელთა მოთხოვნილებების შემცირების გამო პროდუქტებსა და მომსახურებაზე
- ფინანსურ აქტივებზე საბაზრო ფასების შემცირება, კაპიტალისა და სავალო ინსტრუმენტების ჩათვლით
- გლობალური მიწოდების ქსელის მოშლა, ადამიანებისა და საქონლის გადაადგილებაზე დაწესებული შეზღუდვების გამო.

კორონა ვირუსთან დაკავშირებით 2020 წლის 21 მარტს საქართველოს მთავრობის მიერ ვირუსის - კოვიდ-19-ის (COVID-19) გავრცელების პრევენციის მიზნით ქვეყნის მასშტაბით გამოცხადდა საგანგებო მდგომარეობა. შეზღუდვებს მის საქმიანობაზე

მნიშვნელოვანი გავლენა არ ჰქონია. ანგარიშგების თარიღისთვის, კომპანიაზე ვირუსის შესაძლო ეფექტის განსაზღვრა შეუძლებელია, თუმცა ჯგუფის ხელმძღვანელობა არ მოელის არსებით უარყოფით ეფექტს კომპანიის ფუნქციონირებაზე.

ამის საფუძველზე, კორონა ვირუსის ეფექტი, მსს ფასს-ების შესაბამისად, არის 'არა-მაკორექტირებელი მოვლენა' და დაშვებები, რომლებიც გამოყენებულია 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში რელევანტურია და არ საჭიროებს ცვლილებას აღნიშნული მოვლენის (კორონავირუსი) გამო.

2020 წელს აღებულია მოკლევადიანი სესხები, 2021 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით სრულად დაფარულია.

შენიშვნა 9

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და გამოსაცემად ნებადართულია დირექტორის მიერ 2020 წლის 30 დეკემბერს.

დირექტორი

გ. გოგიტიძე